European Commission against Racism and Intolerance
Commission européenne contre le racisme et l'intolérance

CRI (98) 29
Version géorgienne
Georgian version

ECRI (ეკრშ)
ევროპის კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ

ეკრშ-ის ზოგადი პოლიტიკის რეკომენდაცია №3:

ბრძოლა რომა/ბოშების წინააღმდეგ მიმართულ რასიზმსა და შეუწყნარებლობასთან

სტრასბურგი, 6 მარტი 1998

COUNCIL OF EUROPE CONSEIL DE L'EUROPE

Secretariat of ECRI
Directorate General of Human Rights and Legal Affairs
Council of Europe
F - 67075 STRASBOURG Cedex
Tel.: +33 (0) 3 88 41 29 64
Fax: +33 (0) 3 88 41 39 87
E-mail: combat.racism@coe.int

http://www.coe.int/ecri

ევროპის კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ:

შეახსენებს რა, ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურთა მიერ 1993 წლის 8-9 ოქტომბერს ვენის სამიტზე მიღებულ დეკლარაციას;

შეახსენებს რა, რომ დეკლარაციის ჩარჩოებში განსაზღვრული, რასიზმის, ქსენოფობიის, ანტისემიტიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ბრძოლის „მოქმედების გეგმა“ სთავაზობს მინისტრთა კომიტეტს ჩამოაყალიბოს ევროპის კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ, რომლის ერთ-ერთი ამოცანაა წევრ სახელმწიფოთათვის ზოგადი პოლიტიკის რეკომენდაციების შემუშავება;

შეახსენებს რა, აგრეთვე ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოთა სახელმწიფოს და მთავრობების მეთაურთა მიერ 1997 წლის 10-11 ოქტომბერს სტრასბურგში გამართულ მეორე სამიტზე მიღებულ „დასკვნით დეკლარაციასა“ და „სამოქმედო გეგმას“

ხაზს უსვამს რა იმ ფაქტს, რომ დასკვნითი დეკლარაცია ადასტურებს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოთა მიზანს ააშენონ უფრო თავისუფალი, უფრო ტოლერანტული და სამართლიანი ევროპული საზოგადოება და რომ ეს დეკლარაცია მოუწოდებს რასიზმის, ქსენოფობიის, ანტისემიტიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ბრძოლის ინტენსიფიკაციისაკენ.

აღნიშნავს რა, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის №1203 (1993) რეკომენდაციაში შემოთავაზებულ წინადადებას რომა/ბოშათათვის ევროპელი მედიატორის დანიშვნის შესახებ;

ითვალისწინებს რა ევროპის საბჭოს უშუალო კონსულტაციებითა და ამ სფეროში ორი ორგანიზაციის (ეუთო, ევროპის საბჭო) უწყვეტი თანამშრომლობით 1994 წლის 20-23 სექტემბერს ეუთო-ს გავლენის სფეროში ჩატარებული ადამიანური განზომილების შესახებ სემინარის დასკვნებს ბოშებზე.

მიესალმება რა, 1994 წელს გენერალური მდივნის მიერ ევროპის საბჭოს საქმიანობის კორდინატორის დანიშვნას რომა/ბოშების საკითხების კურირებისათვის.

ითვალისწინებს რა, რომა/ბოშების საქმეებზე სპეციალური სამუშაო ჯგუფის მუშაობას (ქპ,ი,კწქ).

შეახსენებს რა წევრი სახელმწიფოების მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციას კ (97)21 მასმედიისა და შემწყნარებლობის კლიმატის შექმნის შესახებ;

შეახსენებს რა, ზოგადი პოლიტიკის რეკომენდაცია №1–ში მოცემულ დადგენილებებს, რომელთა მიზანია კონკრეტული და სპეციფიკური ღონისძიებების შემოთავაზებით დაეხმაროს წევრ სახელმწიფოებს განსაკუთრებით შესაბამის სფეროებში რასიზმის, ქსენოფობიის, ანტისემიტიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ეფექტურ ბრძოლაში.

ღრმად დარწმუნებულია რა, რომ ევროპა თანასწორ ფასეულობათა ერთობაა ადამიანის თანასწორი ღირსების ჩათვლით და რომ ამ თანასწორი ღირსების პატივისცემა ყველა დემოკრატიული საზოგადოების საფუძველია;

შეახსენებს რა, რომ ევროპის ისტორიული მემკვიდრეობა მას წარსულის ხსოვნას, სიფხიზლეს და რასიზმის, ქსენოფობიის, ანტისემიტიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლას ავალებს;

ქედს იხრის რა მეორე მსოფლიო ომში რასობრივი დევნისა და განადგურების პოლიტიკის მსხვერპლთა წინაშე და აღნიშნავს რა , რომ ასეთი პოლიტიკის შედეგად რომა/ბოშათა დიდი რიცხვი დაიღუპა;

ამ მხრივ ხაზს უსვამს რა, რომ ევროპის საბჭო ძირითად ღირებულებათა, კერძოდ ადამიანის უფლებათა დაცვისა და ხელშეწყობის განსახიერება და დამცველია და რომ სწორედ ამ ძირითადმა ღირებულებებმა აღადგინა ევროპა მეორე მსოფლიო ომის საშინელებათა შემდგომ;

შეახსენებს რა, რომ რასიზმის, ქსენოფობიის, ანტისემიტიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ბრძოლა ადამიანის უფლებათა დაცვისა და ხელშეწყობის განუყოფელი ნაწილია და რომ ეს უფლებები საყოველთაო, განუყოფელი და ყოველი ადამიანისათვის ხელმისაწვდომია.

ხაზს უსვამს რა, რომ რასიზმის, ქსენოფობიის, ანტისემიტიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ბრძოლა უპირველეს ყოვლისა მიზნად ისახავს საზოგადოების დაუცველი ფენების უფლებათა დაცვას;

დარწმუნებულია რა, რომ დისკრიმინაციის წინააღმდეგ მიმართული ნებისმიერი ქმედების დროს აქცენტი მსხვერპლსა და მისი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე უნდა გაკეთდეს;

აღნიშნავს რა, რომ რომა/ბოშები მთელს ევროპაში გაბატონებული ცრურწმენისა და საზოგადოებაში ღრმად ფესვგადგმული რასიზმის მსხვერპლნი არიან, რომ რასიზმისა და შეუწყნარებლობის ზოგჯერ მძაფრი გამოვლინებების მიზეზნი ხდებიან და რომ მათი ძირითადი უფლებები რეგულარულად ირღვევა ან საფრთხის წინაშე დგას;

ასევე აღნიშნავს, რომ რომა/ბოშების მიმართ არსებული ცრურწმენა მათ დისკრიმინაციას იწვევს ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების მრავალ სფეროში და რომ ამგვარი მიდგომა რომა/ბოშათა საზოგადოებისგან გარიყვის მიზეზია;

დარწმუნებულია რა, რომ ტოლერანტობის პრინციპის პროპაგანდა წარმოადგენს ღია და პლურალისტული საზოგადოების შენარჩუნების გარანტს და შესაძლებელს ხდის მშვიდობიან თანაარსებობას;

წევრ სახელმწიფოებს შემდეგ რეკომენდაციებს აძლევს:

- ხელმოწერილ და რატიფიცირებულ იქნას შესაბამისი საერთაშორისო სამართებლივი აქტები რასიზმის, ქსენოფობიის, ანტისემიტიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში, კერძოდ კი ჩარჩო-კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ და ევროპის ქარტია რეგიონული უმცირესობათა ენების დაცვის შესახებ.

- უზრუნველყოფილ იქნას რომა/ბოშათა სათვისტომოების უფლება ოფიციალურად იწოდებოდნენ მათი სურვილისამებრ შერჩეული სახელით.

- რასიზმისა და შეუწყნარებლობის იმ გამოვლინებების გათვალისწინებით, რომელთა მსხვერპლნიც რომა/ბოშები არიან, უმაღლესი პრიორიტეტი მიენიჭოს ეკრშ-ის ზოგადი პოლიტიკის რეკომენდაცია № 1-ში მოცემული პირობების ეფექტურ განხორციელებას, რომლებიც მოითხოვს საჭირო ზომების მიღებას, რათა სახელმწიფო სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი უზრუნველყოფდეს რასიზმის, ქსენოფობიის, ანტისემიტიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ სპეციფიკურ, დაუფარავ ბრძოლას.

- სათანადო კანონმდებლობის მეშვეობით უზრუნველ იყოს, როგორც თავად დისკრიმინაციის, ისე დისკრიმინაციული პრაქტიკის წინააღმდეგ ბრძოლა, აგრეთვე სამოქალაქო სამართალში, კერძოდ დასაქმების, საცხოვრებლისა და განათლების სფეროებში შეტანილ იქნას სპეციფიკური დებულებანი.

- არაკანონიერად გამოაცხადონ ყოველგვარი დისკრიმინაცია სახელმწიფო ორგანოების მხრიდან მათი უფლებების გამოყენებისას.

- უზრუნველყონ სათანადო იურიდიული დახმარების აღმოჩენა დისკრიმინაციის მსხვერპლ რომა/ბოშათათვის, რომლებსაც სარჩელის შეტანა სურთ.

- მიიღონ სათანადო ზომები, რათა უზრუნველიყოს მართლმსჯულების ზედმიწევნით, სრულად განხორციელება რომა/ბოშების ძირითად უფლებათა დარღვევის შემთხვევებში.

- კერძოდ კი უზრუნველყონ რომა/ბოშათა მიმართ ჩადენილი ყველა დანაშაულების დასჯა და ფართო მასებში ამ ინფორმაციის გავრცელება.

- უზრუნველყონ რომა/ბოშათა მიმართ ჩადენილი დანაშაულებების დაუსჯელობისადმი შეუწყნარებელი დამოკიდებულება და ამ დამოკიდებულების შესახებ ფართო მასების ინფორმირება.

- კულტურული ცნობიერების გაზრდისა და ცრურწმენის ზიანის გაცნობიერების მიზნით, დაარსონ და მხარდაჭერა აღმოუჩინონ სასწავლო პროექტებს იმ პირებისათვის, რომლებიც მართლმსაჯულების განხორციელების სხვადასხვა სფეროებში ნებისმიერ დონეზე იღებენ მონაწილეობას.

- ხელი შეუწყონ სათანადო შეთანხმებების მიღწევას, რათა შესაძლებელი გახდეს დიალოგი პოლიციას, ადგილობრივ ხელისუფლებასა და რომა/ბოშათა სათვისტომოებს შორის.

- ხელი შეუწყონ მასმედიის აუდიო-ვიზუალურ სფეროსა და პრესის მუშაკთა შორის ცნობიერების გაზრდას იმის შესახებ, თუ რაოდენ დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ მათ, რათა პროფესიული მოვალეობების შესრულების დროს საზოგადოებას მცდარი აზრი არ მიაწოდონ. კერძოდ კი, მოერიდონ რომა/ბოშათა სათვისტომოს წარმომადგენელთა შესახებ ინფორმაციის იმგვარ მოწოდებას, რომელიც მთლიანად რომა/ბოშათა სათვისტომოს დაადანაშაულებდა.

- მიიღონ სათანადო ზომები, რათა მოქალაქეობის ან თავშესაფრის მიღების წესები ისეთნაირად ჩამოყალიბდეს და განხორციელდეს, რომ არ მოხდეს რომა/ბოშათა სათვისტომოების დისკრიმინაცია.

- მიაქციონ ყურადღება ქვეყნის შიგნით გადაადგილების, კერძოდ დასახლებისა და ურბანიზაციის იმგვარი წესდებების შექმნას, რომლებიც არ ზღუდავს ზემოთხსენებული ხალხის ცხოვრების წესს.

- განავითარონ ინსტიტუციონალური შეთანხმებები, რომელიც ხელს შეუწყობს რომა/ბოშათა აქტიურ როლს გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი საკონსტიტუციო მექანიზმების მეშვეობით და პარტნიორული თანასწორობის იდეისათვის პრიორიტეტის მინიჭებით.

- მიიღონ სპეციფიკური ზომები რომა/ბოშათა სწავლების ხელშესაწყობად, აგრეთვე სამართლებრივი სისტემის ფუნქციონერებისა და მათი უფლებების სრული ცოდნისა და განხორციელების უზრუნველსაყოფად.

- განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს ქალ რომა/ბოშათა მდგომარეობას, რომლებიც ხშირად ორმაგ დისკრიმინაციას განიცდიან – როგორც ქალები და როგორც რომა/ბოშები.

- აქტიურად ებრძოლონ რომა/ბოშების ბავშვთა მიმართ სკოლის სეგრეგაციის ნებისმიერ ფორმას და უზრუნველყონ რეალური თანასწორობა განათლების სფეროში.

- შეიტანონ სასკოლო პროგრამაში ინფორმაცია რომა/ბოშათა კულტურისა და ისტორიის შესახებ და უზრუნველყონ ამ თემაზე მასწავლებლებისათვის სასწავლო პროგრამების ჩატარება.

- მხარი დაუჭირონ არასამთავრობო ორგანიზაციათა საქმიანობას, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს რომა/ბოშათა წინააღმდეგ მიმართულ რასიზმისა და შეუწყნარებლობასთან ბრძოლაში, კერძოდ, უზრუნველყოფს მათ სათანადო იურიდიული დახმარებით.

- ხელი შეუწყონ რომა/ბოშათა ორგანიზაციების გააქტიურებას ცივილიზებული საზოგადოების გაძლიერების მიზნით.

- შეიმუშაონ ნდობის აღმძვრელი ზომები, რომელთა მიზანსაც წარმოადგენს ღია და პლურალისტური საზოგადოების შენარჩუნება და გაძლიერება მშვიდობიანი თანაარსებობის მიზნით.